ოსვალდ შპენგლერი

გადაწყვეტილებათა წლები

ქართული თარგმანი
ეკუთვნის ნუგზარ კუჭუხიძეს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

წიგნში „გადაწყვეტილებათა წლები“ გაკრიტიკებულია დასავლური ლიბერალიზმი (1933) და მასში ავტორი აღმოაჩენს რუსული ბოლშევიზმის ელემენტებს.

ნაშრომი წინასწარმეტყველურად განსჯის მე-2 მსოფლიო ომის წარმოშობის შესაძლებლობებს, მიუთითებს მოსალოდნელ „თეთრ“ და „ფერად“ რევოლუციებზე. ხაზგასმითაა ნაწინასწარმეტყველები ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმების გარდაუვალი წარმოშობა.

მთარგმნელი: ნუგზარ კუჭუხიძე
კორექტორი: ლიზი ქოპილაშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6593-0

სარჩევი

წინასიტყვაობა.....4
შესავალი.....6
თავი I: პოლიტიკური ჰორიზონტი.....17
თავი IV: მსოფლიო ომები და.....30
მსოფლიო სახელმწიფოები.....30
თავი X: თეთრი მსოფლიო რევოლუცია.....60
თავი XIX: ფერადი რევოლუცია.....98

თარგმანს ვუძღვნი მშობლების ეთერ (მამუნი) მეგენეიშვილისა და გიორგი (გოგი) კუჭუხიძის ნათელ ხსოვნას

სახელოვანი გერმანელი მოაზროვნის ეს ნაშრომი იძლევა არა მხოლოდ მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში კრიზისულ ვითარებაში მყოფი მსოფლიოსა და გერმანიის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სულიერ-კულტურული მდგომარეობის ღრმა ანალიზს, არამედ მომავალ ათწლეულებსა და საუკუნეში პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალთა გადანაწილების მასშტაბურ სურათს.

ავტორი ფართოდ წარმოადგენს ბოლშევიზმის ევროპული წარმოშობის ისტორიულ, თეორიულ და ქრისტიანულ-თეოლოგიურ ფესვებს.

შესავალი

ოდნავ თუ ვინმე ისე მგზნებარედ, როგორც მე, ელოდა აღსრულებას ამ წლის (1933) ეროვნული გადატრიალებისა. უკვე პირველი დღეებიდანვე მძულდა 1918 წლის ბინძური რევოლუცია, როგორც **ჩვენი ხალხის არასრულფასოვანი ნაწილის ღალატი მისი მეორე ნაწილისადმი-ძლიერისადმი, გაუტეხელისადმი, 1914 წელს აღმდგარისადმი, რომელსაც შეეძლო და სურდა, ჰქონოდა მომავალი.**

ყოველივე, რაც მე დავწერე ამის შემდეგ პოლიტიკაზე, მიმართული იყო ძალთა წინააღმდეგ, ჩვენი მტრების დახმარებით შემოსანგრული ჩვენი სიღატაკისა და უბედურების მწვერვალზე, იმისათვის, რომ მოესპო ჩვენთვის მომავალი. თითოეულ სტრიქონს ხელი უნდა შეეწყო მათი დაცემისათვის და ვიმედოვნებ, რომ ასეც მოხდა. რაღაც უნდა და-

მდგარიყო რაღაცნაირ ფორმაში იმისათვის, რომ განთავისუფლებულიყო ჩვენი სისხლის უღრმესი ინსტინქტები ამ ზეწოლისაგან, თუკი ჩვენ გვერგო მონაწილეობა მსოფლიო ისტორიის მომავალ გადაწყვეტილებებში და არ ვიყოთ მხოლოდ მისი მსხვერპლი. **მსოფლიო პოლიტიკის დიდი თამაში ჯერ არ დასრულებულა.** ყველაზე უფრო მაღალი ფსონები ჯერ არ დადებულა. ყველა მცხოვრები ხალხისათვის ლაპარაკია მის სიდიადეზე ან განადგურებაზე. მაგრამ ამ წლის მოვლენები იმედს გვაძლევს, რომ ჩვენთვის ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არაა და რომ ჩვენ ოდესმე კვლავ – როგორც ბისმარკის დროს – **გავხდებით ისტორიის სუბიექტი და არა მხოლოდ ობიექტი.** ჩვენ ვცხოვრობთ ტიტანურ ათწლეულებში. ტიტანურში – ე.ი. საშინელსა და უბედურში. **სიდიადე და ბედნიერება წყვილი არაა** და ჩვენ არჩევანი არა გვაქვს. ვერავინ, ამ მსოფლიოში სადღაც ახლა მცხოვრები, ბედნიერი ვერ გახდება, მაგრამ მრავალი თავისი ნებით შეძლებს, განვლოს თავისი ცხოვრების გზა სიდიადესა ან არარაობაში. მაგრამ ის, ვინც ეძებს მხოლოდ კომფორტს, არ იმსახურებს უფლებას ესწრებოდეს ამას. **ხშირად ის, ვინც მოქმედებს, შორს ვერ იხედება. იგი მოძრაობს ნამდვილი მიზნის გაუცნობიერებლად.** ალბათ, იგი წინააღმდეგობას გასწევდა, თუკი დაინახავდა მას, მაგრამ **ბედის ლოგიკა ხომ არასოდეს არ აქცევს ყურადღებას ადამიანთა სურვილებს.** მაგრამ გაცილებით ხშირად მას მივყა-